სწრაფი რეაგირების მექანიზმი

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი თანამშრომლობის ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად* რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ და ახორციელებს ევროპის საბჭო.

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ უზრუნველყოფს ბენეფიციარი ქვეყნების საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას, რათა მათ წარმატებით განახორციელონ დასახული რეფორმები და უზრუნველყონ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში. ეს ასევე პრიორიტეტულია ევროკავშირის გაფართოების პროცესისთვის, რაც აქტუალურია მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის კანდიდატის სტატუსისა და საქართველოს ევროპული პერსპექტივისთვის.

პროგრამა, რომლის განხორციელება 2015 წლიდან მიმდინარეობს, ეფუძნება შემდეგ საკვანძო სფეროებში უკვე მიღწეულ შედეგებს:

- მართლმსაჯულების განმტკიცება
- ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა
- თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციის აღკვეთა
- ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესში პროგრამა ითვალისწინებს ორმაგ მიდგომას:

- ტექნიკური დახმარება ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო მეტი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- სამართლებრივი კონსულტაცია პრიორიტეტულ თემებთან დაკავშირებით, რაც ევროპის საბჭოს სწრაფი რეაგირების მექანიზმის (QRM) საშუალებით ხორციელდება.

რა არის სწრაფი რეაგირების მექანიზმი?

სწრაფი რეაგირების მექანიზმი (QRM) PGG პროგრამის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (**ვენეციის კომისია**) და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოები სამართლებრივ და პოლიტიკის საკითხებზე სპეციალურ (ad hoc) კონსულტაციებს სთავაზობენ სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკას და უკრაინას პრიორიტეტულ რეფორმებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების განმტკიცებაზე, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თანასწორობის ხელშეწყობაზე და დისკრიმინაციის აღკვეთაზე, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მოცემული მექანიზმი ასევე რეაგირებას ახდენს თხოვნებზე, რომლებიც ვენეციის კომისიის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტები და ფუნდამენტური უფლებები; არჩევნები, რეფერენდუმი და პოლიტიკური პარტიები; კონსტიტუციური და ჩვეულებრივი მართლმსაჯულება.

QRM მექანიზმი ავსებს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის პროექტების ფარგლებში განეული ad hoc ექსპერტიზას.

QRM ექსპერტიზა და მხარდაჭერა ეხმარება მონაწილე ქვეყნებს, როგორც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში და მნიშვნელოვან დახმარებას სთავაზობს მოლდოვას რესპუბლიკის, უკრაინისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის კონტექსტში.

---

* მიუხედავად იმისა, რომ „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ არ მოიცავს აქტივობებს ბელორუსის ხელისუფლების მონაწილეობით, ევროკავშირის 2020 წლის ოქტომბრის დასკვნებში დაფიქსირებული ბელორუსის საჯარო ორგანოებთან და სახელმწიფო საწარმოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის პოლიტიკის შესაბამისად, შესაძლებელია ორგანიზებული იყოს აქტივობები ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და დემოკრატიულ ინსტიტუტების ჩართულობით, ევროპის საბჭოს 2022 წლის თებერვლის დასკვნებისა და ევროპის საბჭოს მინისტრების მოადგილეების 2022 წლის მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ვის შეუძლია მოითხოვოს ექსპერტის მოსაზრება სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში?

ექსპერტის მოსაზრება შეუძლიათ მოითხოვონ მინისტრებმა და მთავრობის სხვა წევრებმა, ასევე ბენეფიციარი ქვეყნების პარლამენტის სპიკერებმა. აგრეთვე, მოსაზრებები შეიძლება მომზადდეს სხვა სახელისუფლებო ორგანოების თხოვნების საფუძველზე, მაგალითად როგორიცაა, საპარლამენტო კომიტეტები და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ხელმძღვანელები. ექსპერტის მოსაზრების მოთხოვნის უფლება ასევე აქვთ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ორგანოებს (ე.ი. გენერალური მდივანი, მინისტრთა კომიტეტი, საპარლამენტო ასამბლეა, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი). ვენეციის კომისიას სასამართლოს მეგობრის (amicus curiae) მოსაზრებების მომზადების თხოვნით ასევე შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოებმა.

როგორ ხდება თხოვნის ფორმულირება და მისი დამუშავება?

თხოვნას უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და ის ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით უნდა გაიგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე. ვენეციის კომისიის ექსპერტიზის შესახებ თხოვნები ასევე შეიძლება პირდაპირ ვენეციის კომისიის პრეზიდენტის სახელზე გაიგზავნოს.

თხოვნა უნდა იყოს მაქსიმალურად დეტალური და იგი უნდა შეიცავდეს იმ კანონმდებლობის სახელსა და ტიპს, რომელთან დაკავშირებითაც ითხოვენ სამართლებრივ ექსპერტიზას; სამართლებრივი ექსპერტიზის მოთხოვნის ან კანონმდებლობაში ან პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის მიზეზებს და ექსპერტული მოსაზრების მიღების შემდგომ ახალი კანონმდებლობის და პოლიტიკის დოკუმენტების მიღების (ან შესწორებების შეტანის) ვადებს.

თხოვნის მიღების შემდგომ ევროპის საბჭოს შესაბამისი ორგანოები დაამუშავებენ მას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭო მიზნად ისახავს მოთხოვნილი ექსპერტიზის რაც შეიძლება მალე მიწოდებას, ზუსტი ვადა განისაზღვრება თხოვნის წარმდგენ ორგანოებთან კონსულტაციით.

როგორია თხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები?

გარდა იმისა, რომ თხოვნა კვალიფიციურმა ორგანომ უნდა წარადგინოს, QRM თხოვნა ასევე ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

- იგი უნდა ხვდებოდეს ვენეციის კომისიის ექსპერტიზის სფეროში და იმ ერთ-ერთი თემის ფარგლებში, რომელსაც ფარავს პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის. ერთადერთი გამონაკლისი ეხება ვენეციის კომისიას, იმ პირობით, რომ თხოვნა მის კომპეტენციას მიეკუთვნება.
- იგი უნდა პასუხობდეს შესაბამის ქვეყანაში იდენტიფიცირებულ კონკრეტულ საჭიროებას.
- იგი უნდა უკავშირდებოდეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ძირითადი პოლიტიკის ასპექტს.
- თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის ერთ-ერთი მიმდინარე პროექტის ფარგლებში.

სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერის და მიღებული შედეგების მაგალითები

QRM-ის დანერგვის დღიდან ნათელი გახდა, რომ ეს მოქნილი და ეფექტური ინსტრუმენტია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან დაახლოების კუთხით.

სომხეთში, 2022 წელს მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებები, ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივ დასკვნაში ასახული ზოგიერთი ძირითადი რეკომენდაციის გათვალისწინებით შევიდა. (CDL-AD(2022)002-e).

მოლდოვას რესპუბლიკაში, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2024 წლების მართლმსაჯულების სექტორის დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად გადაიხედა და მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის ერთობლივი (CDL-AD(2020)001-e) და (CDL-AD(2020)007-e) დასკვნების საფუძველზე, კონსტიტუციაში მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის თაობაზე.

საქართველოში, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებები, ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ერთობლივ დასკვნაში ასახული რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინებით მიიღო (CDL-AD(2021)008-e).

უკრაინაში, უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრების მომზადება (CDL-AD(2019)029-e) ითხოვა, კონსტიტუციის 81-ე მუხლში ცვლილებების პროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთვის ახალი საფუძვლების შექმნას ითვალისწინებს. ვენეციის კომისიის აზრით, შემოთავაზებული ცვლილებები იწვევს ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევას, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) No1 ოქმის მე-3 მუხლით დადგენილ უფლებებში. ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე (CDL-AD(2019)029) 2019 წლის 24 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ცვლილებების პროექტი არაკონსტიტუციური იყო.

ვისთან უნდა გაიგზავნოს თხოვნა?

QRM თხოვნები შეიძლება გაეგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით შემდეგ მისამართზე:
ევროპის საბჭოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg Cedex
France
ტელ: **+ 33 3 88 41 20 00**
ფაქსი: + 33 3 88 41 27 99
ვებგვერდი: **www.coe.int/en/web/secretary-general/private-office**

QRM თხოვნები, რომლებიც ვენეციის კომისიის ექსპერტიზას საჭიროებენ, ასევე შეიძლება გაეგზავნოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტს წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით შემდეგ მისამართზე:
ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი
Council of Europe
67075 Strasbourg Cedex
France
ელექტრონული ფოსტა: venice@coe.int
ფაქსი: +33 3 88 41 37 38

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის საკოორდინაციო გუნდი, პროგრამის კოორდინაციის დირექტორატი
ევროპის საბჭო
Avenue de l’Europe, F-67075 Strasbourg Cedex, France
E-mail: dpc_pgg@coe.int

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ არის რეგიონული პროგრამა, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებაზე მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების პერიოდია 2023- 2027 წლები.

სწრაფი რეაგირების მექანიზმი (QRM) პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ ინსტრუმენტია, რომლის ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) და ევროპის საბჭოს სხვა ორგანოები სთავაზობენ სპეციალურ (ad hoc) კონსულტაციებს სამართლებრივ და პოლიტიკის საკითხებზე სომხეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკას და უკრაინას პრიორიტეტულ რეფორმებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების განმტკიცებაზე, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თანასწორობის ხელშეწყობაზე და დისკრიმინაციის აღკვეთაზე, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის საკოორდინაციო გუნდი, პროგრამის კოორდინაციის დირექტორატი
ევროპის საბჭო
Avenue de l'Europe, F-67075 Strasbourg Cedex, France
E-mail: dpc_pgg@coe.int
Website: http://partnership-governance-eu.coe.int/

PREMS 051724– Photos: Shutterstock

KAT

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ- ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ